



საქართველოს კონტროლის პალატა

“ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„29 „აპრი“ 2012 წელი

ეგზ. N2

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2011
წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ანგარიში ა/18/00
(01/01/2011-01/01/2012)

სარჩევი

1. საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვა.....	3
2. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება.....	5
3. სამინისტროს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში არსებული შესაძლო დეფიციტის დასაფარად გამოყოფილი თანხების განკარგვა	9
4. სახელმწიფო შესყიდვების დანაზოგები	10
5. სახელმწიფო ქონების მართვა.....	11
6. დებიტორ-კრედიტორები	13
7. რეკომენდაციები	16
8. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი და აუდიტის ჯგუფის წევრთა ხელმოწერები.....	17

1. საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვა

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1,606,479,400 ლარის ოდენობით. კანონში შეტანილი 2 ცვლილებით ბიუჯეტი გაიზარდა 86,096,820.00, ხოლო შემდეგ შემცირდა 7,149,300.00 ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,677,134,720.00 ლარი საიდანაც ათვისებულია 1,665,948,307 ლარი.

2011 წელს საბიუჯეტო ასიგნებებიდან ათვისებულმა თანხამ შეადგინა 20,165,412 ლარი, დაზუსტებული გეგმა არ ათვისებულა 11,186,412 ლარით და ბიუჯეტის ათვისებლობის შედეგად ბიუჯეტის დაზუსტებამდე საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის გადასახდელებში გადატანილმა თანხამ შეადგინა 8,979,000 ლარი.

2011 წლის ასიგნებაში კვარტლებს, მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულია 87 (ოთხმოცდაშვიდი) ცვლილება, საიდანაც მხოლოდ 9 (ცხრა) ცვლილება დამტკიცდა კანონით (N4508-IX, 8 აპრილი 2011 წელი) სადაც პირველი კვარტალი დანარჩენი კვარტლების შემცირებით გაიზარდა 27,025,405 ლარით რაც მთლიანი ბიუჯეტის მატების 31 % შეადგენს.

კვარტალურ გადანაწილებას ადგილი ჰქონდა 3 შემთხვევაში, რესურსის უდიდესი ნაწილი მიიმართა ბოლო კვარტლებში (მე-III და მე-IV კვარტალში).

ცნობის თარიღი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	ცნობა #
31.03.2011	(12,828,200.00)	12,828,200.00			232
30.06.2011		(42,728,500.00)	42,728,500.00		521
30.09.2011			(43,519,200.00)	43,519,200.00	723

მე-4 კვარტალში, განსაკუთრებით დეკემბრის თვეში წინა თვეებთან შედარებით გაიზარდა საბიუჯეტო ასიგნებების ათვისება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	I კვარტალი		II კვარტალი		III კვარტალი		IV კვარტალი		სულ 2011 წელი
ადმინისტრაციული ხარჯები	8,161,989	19%	9,516,719	22%	9,776,946	22%	16,518,824	38%	43,974,477
საპენსიო უზრუნველყოფა	234,266,857	24%	231,561,939	23%	247,046,763	25%	274,448,967	28%	987,324,526
სოციალური დახმარებები	52,879,931	24%	53,618,849	24%	52,862,818	24%	60,967,763	28%	220,329,362
სოციალური რეაბილიტაცია და ზავშეზღუდულობა	1,684,345	14%	1,910,374	16%	2,952,326	25%	5,185,114	44%	11,732,158
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	34,949,335	22%	27,333,029	18%	44,345,970	28%	49,090,127	32%	155,718,461
ჯანმრთელობის დაზღვევა	26,502,512	22%	37,387,125	31%	29,462,347	24%	27,852,115	23%	121,204,099
სპეც მედიკამენტების შეძენა-ჯანმრთელობის დაზღვევა	1,179,882	14%	1,395,494	17%	1,675,770	20%	3,965,861	48%	8,217,006
მოსახლეობის ელექტროენერგიის სუბსიდიით უზრუნველყოფა	37,348,480	60%	21,465,815	35%	3,004,100	5%	96,897	0%	61,915,292
სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის	5,536,987	15%	20,528,143	55%	10,197,820	27%	1,278,184	3%	37,541,135

სახელმწიფო პროგრამა									
დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა		0%		0%		0%	147,710	100%	147,710
დონორების დაფინანსებული პროექტები	1,263,726	23%	1,264,208	23%	1,541,396	28%	1,386,215	25%	5,455,544
ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა	129,603	21%	167,097	27%	157,919	25%	165,285	27%	619,904

რიგ შემთხვევებში წლის განმავლობაში არ გაწეულა ხარჯი და მხოლოდ დეკემბრის თვეში ათვისებულია ასიგნება, სულ 2,113,466 ლარი.

ხარჯის დასახელება	თანხა
სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით	803,560.00
მსუბუქი ავტომობილი	293,040.00
კომპიუტერი	243,227.00
საცხოვრებელი შენობები	147,219.34
კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	138,060.00
პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები	122,230.00
ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი	75,000.00
რბილი ავეჯი	61,382.00
სხვა სატრანსპორტო საშუალებები	54,904.00
საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	47,218.00
ვიდეო-აუდიო აპარატურა; ტელევიზორი	57,860.00
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	23,250.73
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	20,336.69
სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	26,178.60
სულ დეკემბრის თვეში ათვისებულია:	2,113,466.36

დეკემბრის თვის ხარჯის ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია გადახდილი ავანსით, კერძოდ, ავტომანქანების შესაძენად, რომლის შესყიდვაც წლის დასაწყისში დაგეგმილი არ იყო, გადახდილია 245,930 ლარი. ფულადი რესურსი მობილიზებულ იქნა ზედმეტად დაგეგმილი საქონლის და მომსახურების კოდებიდან.,

ორგანიზაციები	ავანსად გადახდილი თანხები
შპს ინტეგრირებული ქართული სისტემები	44,300.00
შპს კია მოტორსი	245,930.00
შპს კინდ სმენა	92,380.00
შპს ნიუ კოსტრაქშენ	415,999.60
სს სამშენებლო ტრესტი №3	102,254.00
შპს საქართველოს სამშენებლო კომპანია	93,000.00

შპს დაგი	60,606.02
კს კოწიწაშვილი და კომპანია	35,491.00
სულ ავანსად გადახდილი თანხა	1,089,960.62

2. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება

2.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის 37 პროგრამას, რომლის ბიუჯეტი 2011 წლისათვის განისაზღვრა 162,883,800 ლარით, და ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამას, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 136,396,300 ლარით.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები დაგეგმილთან შედარებით ვერ შესრულდა და გაუტოლდა 2008 და 2009 წლების შესრულების მაჩვენებლებს.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების შესრულება

დასახელება	2008	2009	2010	2011
საპენსიო უზრუნველყოფა	726,692,400.00	821,645,700.00	923,825,000.00	987,324,525.70
ჯანმრთელობის დაზღვევა	80,453,100.00	132,772,500.00	147,257,800.00	121,204,099.19
სოციალური დახმარებები, სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა	263,309,000.00	315,384,200.00	242,797,400.00	232,062,571.59
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	157,827,500.00	158,416,800.00	181,964,900.00	156,021,114.68
სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა	7,146,700.00	3,216,200.00	29,713,400.00	37,541,135.24
სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამა	39,900.00	26,400.00	68,700.00	91,279.00
ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა	344,800.00	649,500.00	617,200.00	619,903.76
დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა	145,800.00	138,500.00	19,100.00	147,710.00
დონორების დაფინანსებული პროექტები	17,803,500.00	26,942,000.00	32,674,500.00	5,152,890.40
მოსახლეობის ელექტრონერგიის სუბსიდიით უზრუნველყოფა	-	-	-	61,915,292.33
სულ	1,253,762,700.00	1,459,191,800.00	1,558,938,000.00	1,602,080,521.89

ჯანმრთელობის დაცვის 20 პროგრამის აუთვისებელმა ბიუჯეტმა შეადგინა 14,498,341, საიდანაც:

- 12,291,800 ლარი წლის განმავლობაში დაიგეგმა ხელახლა, რაც ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ჯამური ასიგნებების 8% -ია. აღნიშნული თანხა მოაკლდა ზემოთ მითითებულ 20 პროგრამას და გადანაწილდა ჯანმრთელობის დაცვის სხვა დანარჩენ 13 პროგრამაზე.
- 1,194,000 ლარი დაბრუნდა საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის გადასახდელებში.

- 1,012,541 ლარი ხაზინაში დაზუსტებული გეგმის აუთვისებელი თანხაა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები, სახელმწიფო სხვადასხვა სექტორის პროგრამებთან შედარებით, მოცულობითია.

ჯანმრთელობის დაცვის აღნიშნული 20 პროგრამის დამტკიცებული ასიგნება შეადგენდა 62,705,000 ლარს. როგორც ზემოთ აღინიშნა, აქედან აუთვისებელი დარჩა 14,498,341 ლარი, რაც 23%-ს შეადგენს. 12,291,800 ლარიდან, რომელიც ჯანმრთელობის 20 სახელმწიფო პროგრამიდან გადანაწილდა 13 სხვა პროგრამაზე, წლის ბოლოს აუთვისებელი დარჩა 4,430,443 ლარი, რაც გადანაწილებული თანხის 37 %-ს შეადგენს. მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს პროგრამებს შორის ასიგნებების არასწორ გადანაწილებაზე.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამების ბიუჯეტი დგება შემსრულებელი სამედიცინო და სხვა დაწესებულებების მიერ შედგენილი პროგნოზებით, რაც სამინისტროს მხრიდან საჭიროებს ხარისხის სათანადოდ უზრუნველყოფას.

2.2. მარაგების არაგონივრული გათვლის საფუძველზე, 2010 წლის ბოლოს შემეწილია დიდი რაოდენობით მარაგები. 2011 წლის დაგეგმვისას აღნიშნული მარაგები არ იქნა გათვალისწინებული, რის გამოც 2011 წელს ზემდეტობით დაიგეგმა ასიგნებები და წლის ბოლოს თანხები დარჩა აუთვისებელი.

დასახელება	ბიუჯეტი	სულ აუთვისებელი
იმუნიზაცია	4,520,000.00	3,068,277.77
ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,699,500.00	352,697.95
ორგანოგდანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,005,900.00	880,536.20
ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა	537,300.00	537,300.00

2.2.1. სახელმწიფო პროგრამა ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა 2011 წლის მანძილზე არ შესრულებულა. პროგრამის ფარგლებში 2 წლიანი (2012-2013 წლების) მარაგის შექმნის მიზნით 2011 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება.

2.2.2. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 3,068,277 ლარი. პროგრამის ბიუჯეტი აუთვისებულია 1,451,722.23 ლარის ოდენობით, რაც დაგეგმილი მოცულობის 32%-ს შეადგენს.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას, საქართველოს კონტროლის პალატამ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, შეემცირებინა იმუნიზაციის პროგრამის ასიგნების მოცულობა, რადგან პროგრამის აუდიტის შედეგად გამოვლინდა მილიონ ლარზე მეტი ოდენობით

საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივი ხარჯვა. აღნიშნულის მიუხედავად 2011 წლის იმუნიზაციის პროგრამის ასიგნება დაიგეგმა უცვლელად, ხოლო შესრულდა 32%-ით, 1,451,722.23 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობამ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ არ გაითვალისწინა საქართველოს კონტროლის პალატის რეკომენდაცია იმუნიზაციის ასიგნების შემცირების თაობაზე, რის შედეგადაც წლის ბოლოს აუთვისებელი დარჩა 3,068,277 ლარი.

2.2.3. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში სახელმწიფო ასიგნებიდან შეძენილი ა 1318 ცალი სმენის აპარატი. დეკემბრის თვეში გადახდილია ავანსი სმენის აპარატების შესაძენად 92,380 ლარი.

2011 წელს პროგრამის ფარგლებში დაუკმაყოფილებელი დარჩა 273 ბენეფიციარი. სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული ბენეფიციარები არ გამოცხადდნენ დამხმარე საშუალებების მისაღებად. სამინისტრო არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ბენეფიციარების მოსაძიებლად და დაუდგენელ პირთა სხვა მომლოდინე ბენეფიციარებით დროულად ჩასანაცვლებად, რათა პროგრამის სიკეთით ისარგებლოს რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ.

2.3. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის 2011 წელს დამტკიცებული ასიგნებები აუთვისებელია ისეთ პროგრამებში, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და დაავადებათა პროფილაქტიკისათვის და რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 2011 წლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტად განისაზღვრა.

- საქართველოში ონკოლოგიურ დაავადებათა გამოვლენა 75 %-ზე მეტ შემთხვევაში ხდება უკანასკნელ სტადიებზე, როდესაც მკურნალობა ნაკლებად ეფექტურია. ონკოლოგიის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამით წლიურად საშუალოდ 5 მილიონი ლარი მიიმართება დაგვიანებულ მკურნალობაზე. შესაბამისად, ონკოლოგიური სნეულებების ლეტალობის მაჩვენებელი საერთო სიკვდილიანობაში მაღალია, რაც ხაზს უსვამს ონკოპრევენციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.
- სახელმწიფო პროგრამაში „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“, რომლის მიზანია ონკოლოგიური სნეულებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა, აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 606,190 ლარი.
- სახელმწიფო პროგრამა - ტუბერკულოზის მართვის მიზანია ტუბერკულოზით, აივ/შიდსით და სხვა გადამდები დაავადებებით ავადობის შემცირება. პროგრამის ფარგლებში აუთვისებელი დარჩა 2,284,030 ლარი.

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია პროგრამებიდან აუთვისებელი თანხები:

დასახელება	სულ აუთვისებული	აუთვისებული %
დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	508,790.00	93%
მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	131,106.42	87%
უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	172,607.00	64%
ბავშვთა და მოზარდთა დიაბეტის მართვა	377,002.04	58%
დიაბეტით დაავადებულ მოზარდულ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	2,638,540.00	56%
იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა	524,706.42	55%
ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა	319,387.11	45%
ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა	284,388.20	29%
დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი	606,190.69	25%
ტუბერკულოზის მართვა	2,284,030.42	22%

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს ასიგნებების ამსახველი ციფრების ჯამს. განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების მოცულობა გაუმჭირვალე და დაუსაბუთებელია. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა ითვალისწინებს მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით.

არცერთი პროგრამული ღონისძიება არ ასახავს დასაკმაყოფილებელ ბენეფიციართა რაოდენობას, მოთხოვნის მოცულობას, მათ მიახლოებულ დაანგარიშებას და შესაძლო შედეგიანობას, რაც ბიუჯეტის სწორი დაგეგმვისა და ათვისების აუცილებელი პირობაა.

2.4. ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ბიუჯეტიდან 1,420,800 ლარი მიიმართა ადმინისტრაციული ხარჯების გაწევის მიზნით, საიდანაც 83 % შეადგენს პრემიებს.

2.5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სამინისტროს მიერ წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ანგარიში არ შეიცავს სტანდარტულ ინფორმაციას პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების შესრულების თაობაზე.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების შედეგად გაწეული მომსახურების, ბენეფიციარებისა და მკურნალობის კლასიფიკაციის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად სხვადასხვაგვარადაა წარდგენილი. აღნიშნული არ იძლევა საშუალებას, გაიზომოს სამინისტროს წლის საქმიანობის შედეგების მოცულობა, წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა თუ იკლო სამედიცინო შემთხვევებმა, მომსახურებული პაციენტების რაოდენობამ და ა.შ., რაც აუცილებელია დახარჯული საბიუჯეტო სახსრებით შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად.

მაგალითად, სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თანახმად, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის

ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ჰემოდიალიზის 132.3 ათასი სეანსი, ხოლო პერიტონეული დიალიზის შემთხვევაში - 133.4 ათასი სეანსი. ბენეფიციართა რაოდენობა აღნიშნული არ არის. ასევე არ არის აღნიშნული ტრანსპლანტაციის ოპერაციების რაოდენობის შესახებ.

2011 წლის ანგარიშში კი ამ პროგრამაზე აღნიშნულია მხოლოდ ბენეფიციართა რაოდენობა, რამაც 1400 შეადგინა, და ტრანსპლანტაციის ოპერაციების რიცხვი - 16 ერთეული. სეანსების რაოდენობა მითითებული არ არის. შესაბამისად, 2011 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირდა თუ გაიზარდა თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა რაოდენობა, იმატა თუ არა მკურნალობაზე მოთხოვნამ და ა.შ., საკითხები დაუზუსტებელი რჩება. 2010 წელს პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 19,780 ათასი ლარი, ხოლო 2011 წელს - 17,086 ათასი ლარი.

ანალოგიურად, ყველა სხვა პროგრამებთან მიმართებაში სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია განსხვავებულად როგორც წლების, ასევე პროგრამების მიხედვით.

3. სამინისტროს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში არსებული შესაძლო დეფიციტის დასაფარად გამოყოფილი თანხების განკარგვა

სამინისტროს საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებებში არსებობს ე.წ. „რეზერვები“:

- „სამინისტროს პროგრამების შესაძლო დეფიციტის დაფინანსება და 2010 წელს შესრულებული სამუშაოების აღნაზღაურებელი ნაწილის გადახდა“ (ორგ. კოდი 35 13);
- „სამინისტროს სისტემის ინსტიტუციონალური რეფორმირება“ (ორგ. კოდი 35 14) საიდანაც 90 პროცენტი რესურსი გამოყენებულია პრემიების გასაცემად;
- „პროგრამების შესაძლო დეფიციტის დაფინანსება“ (ორგ. კოდი 35 12 02 28).

ორგ. კოდი	I დამტკიცებული	II დამტკიცებული	III დამტკიცებული	სულ დამტკიცებული	სულ ათვისებული
35 13	33,830,000.00	9,000,000.00	1,888,400.00	44,718,400.00	42,859,400.00
35 14	257,300.00	-	-	257,300.00	277,900.00
35 12 02 28	20,212,300.00	21,000,000.00	18,273,500.00	59,485,800.00	41,212,300.00

სამინისტრომ ვერ წარმოადგინა საბიუჯეტო ასიგნებებში „რეზერვების“ დასაბუთების დოკუმენტაცია. აღნიშნული კოდების როგორც დამტკიცებული ასევე დაზუსტებული ასიგნებები 2011 წლის მანძილზე მუდმივად განიცდიდა ცვლილებებს და ნაწილდებოდა სხვადასხვა პროგრამებსა და ხარჯებში. სულ ამ პროგრამებიდან გადატანილი და გახარჯული იქნა 84,071,700.00 ლარი და წლის ბოლოსათვის გამოყოფილი ასიგნებები განულებულ იქნა. გახარჯული თანხა შეადგენს სამინისტროს წლიური ასიგნების 5%.

აღნიშნული თანხების დანიშნულების მიუხედავად:

- ჯანმრთელობის პროგრამების 2010 წლის დეკემბრის თვის შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხების მობილიზება I კვარტალში განხორციელდა მომდევნო კვარტლების შემცირების ხარჯზე, თანხით 11,347,150.00 ლარი.
- “სამინისტროს პროგრამების შესაძლო დეფიციტის დაფინანსებისა და 2010 წელს შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდის” ორგანიზაციული კოდით 35 13 გათვალისწინებული ასიგნებების ნაწილი ათვისებულია ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად:

ხარჯის დასახელება	თანხა
შრომის ანაზღაურება	26,000.00
პრემია	393,800.00
საქონელი და მომსახურება	59,300.00
ავტომაქსანის დაზღვევა	800.00
მივლინება ქვეყნის შიგნით	11,800.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	229,000.00
სულ	720,700.00

4. სახელმწიფო შესყიდვების დანაზოგები

სახელმწიფო შესყიდვების ინსტრუმენტების გამარტივებამ და განვითარებამ ხელი შეუწყო სამინისტროს შესყიდვებში მაღალ კონკურენციას, რაც გამოიხატა დაგეგმილზე დაბალი ფასებით შესყიდვებში.

2011 წელს სამინისტროს სისტემაში შესყიდვების შედეგად ეკონომიამ შეადგინა 13,118,320 მილიონი ლარი. 2011 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილია ეკონომია:

დასახელება	ტენდერით წარმოქმნილი ეკონომია
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	890,504.00
ადმინისტრაციული ხარჯი-სახელმწიფო ბიუჯეტი	327,833.00
სახელმწიფო პროგრამები	562,671.00
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	753,086.00
ადმინისტრაციული ხარჯი-სახელმწიფო ბიუჯეტი	634,224.00
სახელმწიფო პროგრამები	118,862.00
სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	224,812.00
ადმინისტრაციული ხარჯი-სახელმწიფო ბიუჯეტი	224,812.00
სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დავალებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	595,079.00
ადმინისტრაციული ხარჯი-სახელმწიფო ბიუჯეტი	48,932.00
პროგრამები, სახელმწიფო ბიუჯეტი	164,641.00
გრანტი	381,506.00
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	15,016.00

ადმინისტრაციული ხარჯი-სახელმწიფო ბიუჯეტი	15,016.00
სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	2,496.00
გრანტი	2,496.00
დონორების დაფინანსებული პროექტები	10,637,327.00
სულ	13,118,320.00

დანაზოგის ხარჯვის შესწავლით გამოვლინდა, რომ შემსყიდველმა სუბიექტებმა დანაზოგები ათვისეს იმავე დანიშნულებით, დაუგეგმავი საქონლის შესაძენად.

- სამინისტროს ცენტრალური აპარატი - ათვისებულია ეკონომიის თანხა და გადახდილია ავანსის სახით, 44,500 ლარი აუდიო-ვიზუალური აპარატურის შესაძენად;
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო - ათვისებულია სულ 651,917 ლარი, საიდანაც 182,340 ლარი ათვისებულია სხვა მიზნებისათვის.

დანიშნულება	თანხა
ოფისის რეაბილიტაციისთვის	100,000.00
კომუნალური მომსახურებისთვის	42,140.00
საოფისე ტექნიკა და სახარჯი მასალა	40,200.00
სულ	182,340.00

- სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო - ათვისებული სულ 200,700 ლარი;
- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - ათვისებული სულ 5,350 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი დანაზოგი არ იხარჯება პრიორიტეტული მიმართულებით, რაც პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული, არამედ ხორციელდება დაუგეგმავი ღონისძიებების დაფინანსება. მიზანშეწონილია შესყიდვების დანაზოგები იქცეს რეალურ ეკონომიად და მოხმარდეს სექტორის პრიორიტეტებს

5. სახელმწიფო ქონების მართვა

5.1. სამინისტროს 2011 წლის კონსოლიდირებული ბალანსი წარმოდგენილია ისეთი საბალანსო ნაშთებით, რომელიც არ შეესაბამება საბაზრო ღირებულებას.

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები	შენიშვნა ნაგებობა	მიწა	მანქანა დანადგარები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სხვა ძირითადი აქტივები
-----------------------------------	-------------------	------	---------------------	---------------------------	------------------------

ცენტრალური აპარატი	10,955,479.00	993,863.00	7,914,064.00	64,770,172	790,591.00
რეგულირების სააგენტო	87,980.00	-	344,523.00	-	18,006.00
სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	1,690,336.00	1,505,851.00	1,421,710.00	-	5,347.00
სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	10,771,178.00	333,543.00	1,019,136.00	25,420.00	204,704.00
სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	262,310.00	46,597.00	132,146.00	-	913.00
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	7,556,079.00	149,775.00	2,582,594.00	-	99,613.00
სულ სამინისტროს აქტივები	31,323,362.00	3,029,629.00	13,414,173.00	64,795,592	1,119,174.00

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე არსებული მიწა მდებარე ქ. თბილისი, მიცვეიძის ქუჩა #23, 1კვ/მ ფასი განსაზღვრულია 33 ლარით (სულ 24,82 კვ/მ) ხოლო შენობა-ნაგებობის 1კვ/მ ფასი - 18 ლარით (სულ ფართით 655.38 კვ/მ. ასევე, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე შენობა-ნაგებობის 1კვ/მ ფასი განსაზღვრულია 20.26 ლარით (სულ 387,01 კვ/მ).

უმეტეს შემთხვევაში, სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონება არ არის შეფასებული კომპეტენტური ექსპერტი/აუდიტორის მიერ და სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას ქონების ფართობისა და ისტორიული ღირებულების შესახებ.

5.2. კონსოლიდირებულ ბალანსში 1996 წლიდან ასახულია შვიდი მშენებარე ობიექტი 4,907,530 ლარის ღირებულებით, რომელიც 2008 წლის ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ვერ იქნა იდენტიფიცირებული. ამავე წელს შემდგომი რეაგირებისთვის წერილი გაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას მაგრამ აღნიშნული ქონება დღემდე ირიცხება სამინისტროს ბალანსზე, რაც საჭიროებს შესაბამის რეაგირებას.

5.3. უძრავი ქონების გადაცემა მესამე პირებზე ხდება არა თავდაპირველი, არამედ ნარჩენი ღირებულებით, რაც შემდგომში იწვევს ცვთის არასწორ დაანგარიშებას და ეწინააღმდეგება ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს, რაც ზეგავლენას ახდენს ნაშთების არასწორ კონსოლიდირებაზე.

5.4. სსიპ რეგულირების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 2008 წელს პრივატიზებული 87,979 ლარის ოდენობის 2,150 კვ/მ საოფისე ფართი მდებარე ალ.ყაზბეგის #23-ში. იგივე ფართი ირიცხება აპარატის ბალანსგარეშე, როგორც ამორტიზებული ქონება. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ამ ქონების მესაკუთრე კერძო სამართლის იურიდიული პირია, შესაბამისად უნდა მოხდეს აღნიშნული ქონების სამინისტროს ბალანსიდან ჩამოწერა.

5.5. 2011 წლის 18 ნოემბრის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს #05/26887 წერილით ეკონომიკის სამინისტრომ თანახმობა განუცხადა სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფილიალი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის მიერ 249,678 ლარის ღირებულების უძრავი ქონებით

სარგებლობაზე. სააგენტომ ბრძანებაზე შემდგომი რეაგირება არ განახორციელა მიღება-ჩაბარების სახით, შესაბამისად არ არის აღრიცხული 2011 წლის ბალანსზე.

5.6. სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსზე ნარჩენი საბალანსო ღირებულებით აღრიცხულია 463,486 ლარის უფუნქციო შენობა-ნაგებობები, რომელიც საჭიროებს შეფასებას, რათა დადგინდეს მისი რეალური ღირებულება, კერძოდ:

- ცენტრალური აპარატის ბალანსზე აღრიცხულია 16 შენობა-ნაგებობა, ნარჩენი ღირებულებით 152,289 ლარი. კონტროლის პალატის რეკომენდაციით, 2008 წელს გაიგზავნა დასტურის წერილი ეკონომიკის სამინისტროში, ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების გასხვისების თაობაზე, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. დაუდგენელია მათი სამინისტროს საკუთრებაში არსებობა.
- სსიპ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ბალანსზე ირიცხება შენობა-ნაგებობა ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 78,038 ლარი;
- სსიპ რეგულირების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება შენობა-ნაგებობა ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 233,159 ლარის ოდენობი.

5.7. ცვეთის მექანიკური დაანგარიშებით გამოწვეულია უზუსტობები და მექანიკური შეცდომები. 2011წლის შენობა-ნაგებობაზე დასარიცხი ცვეთა 1,983.2 ლარის ნაცვლად დარიცხულია 19,832 ლარი, რომელიც ექვემდებარება კორექტირებას.

6. დებიტორ-კრედიტორები

6.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება გაყინული დებიტორული დავალიანება 6,532,671.37 ლარი, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოუძიებლობის მიზეზით, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების აღსადგენად კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცესები არ იწყება, რაც განპირობებულია ისეთი სისტემური პრობლემით, როგორიცაა არქივის სიტემატიზაცია.

დებიტორული დავალიანების მისაღებად საჭიროა სამინისტროს საფინანსო და იურიდიული სამსახურების მიერ შემუშავდეს ერთობლივი გეგმა დებიტორული დავალიანებების მოთხოვნის სამართლებრივი პროცესების დასაწყებად, ხოლო რაც შეეხება საარქივო დოკუმენტაციის სისტემატიზაციის პროცესს, აღნიშნული ტექნიკური მიზეზი არ შეიძლება გახდეს დებიტორული დავალიანებების უგულებელყოფის საფუძველი.

დებიტორული დავალიანების წარმოშობის წყარო	თანხა
ლიკვიდირებული/რეორგანიზებული ორგანიზაციებიდან მომდინარე, ასევე სხვა (2002-2005 წწ) დებიტორული დავალიანებები	6,532,671.37
2011 წლის დეკემბერში ხელშეკრულებების ფარგლებში ავანსად გაცემული	2,467,851.55

თანხები	
დარიცხული პირგასამტეხლოები, ინსპექტირებების შედეგად წარმოქმნილი ჯარიმები	1,132,880.86
სულ მისაღები თანხა	10,133,403.78

6.2. 2011 წლის ბოლოს სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ 6,517,584.93 ლარი შეადგინა, თანხის 76% - ს შეადგენს გაყინული დებიტორული დავალიანება - 4,981,429.00 ლარი. აღნიშნული თანხების დამადასტურებელი სრული დოკუმენტაციის მოძიება შეუძლებელია. არ განხორციელებულა სამართლებრივი ღონისძიებები და დებიტორებთან კორესპონდენციის განახლება მოთხოვნის არსებობის დასადასტურებლად.

6.3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე 2007 წლის ივლისიდან ირიცხება დებიტორული დავალიანება 1,248,642.81 ლარი. მოთხოვნის მისაღებად მიმდინარეობს რამდენიმე სამართლებრივი პროცესი, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არქივის სისტემატიზაციის, დოკუმენტაციის მოუძიებლობის გამო ვერ ხდება თანხების მიღება.

6.4. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2010-2011 წელს განხორციელებული პროგრამების ინსპექტირების შედეგად სამედიცინო დაწესებულებებზე დაკისრებულია 1,110,269.24 ლარი ჯარიმის სახით. 2012 წლის I კვარტლის მდგომარეობით დაფარულია აღნიშნული ვალის 21%.

სამინისტრომ მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს მოთხოვნის მისაღებად სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებასა და სამედიცინო დაწესებულებების მიერ დარიცხული ჯარიმების სახელმწიფო ბიუჯეტში დროულად აღდგენაზე.

6.5. ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ბალანსზე ირიცხება ლიკვიდირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის დებიტორული 246,700 ლარი დავალიანება და ასევე კრედიტორული დავალიანება თანამშრომელთა ხელფასების სახით 144,622 ლარი; ვალდებულებები მომწოდებელთან 18,120; გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 29,865 და სოციალური დაზღვევის ანარიცხები 54,093 ლარი, სულ 246,700.00 ლარი შეადგინა. აღნიშნული დავალიანება წარმოქმნილია 2003 წელს, როდესაც ცენტრი ფინანსდებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ.

დავალიანების დებიტორს, სამართალმემკვიდრეობიდან გამომდინარე, წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი, რომელსაც, თავის მხრივ, აღნიშნული თანხა კრედიტორულ დავალიანებად აქვს ასახული. ვინაიდან სამინისტროს აპარატს და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს ერთი და იგივე ვალდებულება აქვთ ბალანსში

ასახული 246,700 ლარი, წლის ბოლოს კონსოლიდაციის პროცესში აღნიშნული თანხა ხელით კორექტირდება, რათა არ მოხდეს დავალიანების გაორება.

სწორედ ამ მიზნით, სამინისტროს მიერ ხდება კონსოლიდირებული ბალანსის ვალდებულებების შემცირება 246,700.00 ლარით. ამასთან, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა გათავისუფლებულ თანამშრომლებზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ცენტრის 2010 წლის სახელფასო ფონდიდან წინა პერიოდის დავალიანების დაფარვაში გადატანილ და გასტუმრებული იქნა ნაწილი სახელფასო დავალიანება - 47,162.00 ლარის ოდენობით. შესაბამისად მოთხოვნამ წლის განმავლობაში კლება განიცადა. ამის მიუხედავად, სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ არ მომხდარა შემცირებული თანხის ასახვა კრედიტორული დავალიანების კლებაში.

6.6. სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბალანსზე 2009 წლის მდგომარეობით ირიცხება 6 რეორგანიზებული ფილიალის დებიტორული დავალიანება, რომელიც 103,347.22 ლარს შეადგენს. აღნიშნული დებიტორული დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობა დაუდგენელია, ხოლო ბიუჯეტში აღსადგენი თანხების მისაღებად კანონმდებლობით გათვალისწინებული სამათლებრივი პროცესები არ დაწყებულია.

სენაკის ფილიალის ბალანსი ზრუნვის სააგენტოს ბალანსზე გადცემულია საბალანსე ნაშთების დაზუსტების გარეშე, რადგან მისი ლიკვიდაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

6.7. კრედიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, იმ თანხებზე, რომელზეც არ არსებობს შედარების აქტები, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალის აღიარების სხვა ინსტრუმენტი, კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადების დასადგენად დოკუმენტაციის სისტემატიზაციით შესაძლებელია მოხდეს მათი ჩამოწერა.

შესაბამისად, სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს როგორც ბიუჯეტში აღსადგენი ფულადი რესურსების მოთხოვნის, ისე კანონიერი საფუძველით კრედიტორული ვალდებულებებისგან სახელმწიფოს განთავისუფლებას.

კრედიტორული დავალიანება ხანდაზმულობის მიხედვით	თანხა
1996-2002	10,725,952.78
2003	232,863.00
2004	91,131.56
2005	5,731.73
2006	19,776.37
2007	5,114,669.40
2008	485,812.09

2010	71,954.70
სულ კრედიტორული დავალიანება	16,747,891.63

7. რეკომენდაციები

7.1. უმეტეს შემთხვევაში პროგრამების ბიუჯეტი იგეგმება შემსრულებელი სამედიცინო და სხვა დაწესებულებების მიერ შედგენილი პროგნოზებით, რაც სამინისტროს მხრიდან საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას და ხარისხის სათანადოდ უზრუნველყოფას.

პროგრამების ბიუჯეტის მოცულობის დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს სამიზნე ჯგუფების პროგნოზირებას და გასაწევი მომსახურების ჯამური ღირებულების სწორად დაანგარიშებას.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები გათვლილია ბენეფიციართა განსაზღვრულ წრეზე. ბენეფიციართა და მათთვის გასაწევი მომსახურების სწორი პროგნოზირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიუჯეტის ოპტიმალურად დაგეგმვას.

7.2. დაგეგმვისას, სამიზნე ჯგუფების მომსახურებათა სწორი პროგნოზირების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არსებული მარაგების მოცულობისა და ღირებულების გათვალისწინება. მარაგების ოპტიმიზაცია საბიუჯეტო სახსრების სწორად დაგეგმვის ერთ-ერთი საფუძველია.

7.3. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესრულების წლიური ანგარიშის ერთიანი სტრუქტურის სტანდარტიზაცია და ყოველწიურად სტანდარტული შეფასების ინდიკატორების გამოყენება.

7.4. მიზანშეწონილია, რომ სამინისტრომ სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი დანაზოგის ხარჯვა უზრუნველყოს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სტრატეგიული თუ ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული სხვა პრიორიტეტები.

აუთვისებელი ასიგნებებისა და პროგრამის დეფიციტისთვის განსაზღვრული თანხები უნდა მოხმარდეს სექტორის პრიორიტეტებს და არა დაუგეგმავ ღონისძიებებსა და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

7.5. აუცილებელია სამინისტროს სისტემის არქივის დროული სისტემატიზაცია, რაც შესაძლებელს გახდის დებიტორულ დავალიანებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიებას და დავალიანების მართვას.

7.6. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც სისტემურად გამართავს და მონიტორინგს გაუწევს მოთხოვნათა ხანდაზმულობის პროცესს, შედარების აქტების თუ სხვა დოკუმენტაციის მოწესრიგებას, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს აღნიშნულ პროცესზე კონტროლს.

7.7. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ქონების შეფასება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე დაადგინოს მის ბალანსზე რიცხული ქონების მოცულობა

და ფართობი. მიზანშეწონილია, განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები სამინისტროს ბალანსზე არსებული უფუნქციო ქონების მართვის გაუმჯობესების მიზნით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის ხელმძღვანელი

ზედამხედველი აუდიტორი:

ირაკლი წიწილაშვილი


ხელმოწერა

29.05.2012 წ.
თარიღი

უფროსი აუდიტორი:


ზურაბ მაისურაძე

ზ. მაისურაძე
ხელმოწერა

29.05.2012 წ.
თარიღი

აუდიტორი:

ნინო ყიფიანი


ხელმოწერა

29.05.2012 წ.
თარიღი

აუდიტორ ასისტენტი:


სოფიო დვალისშვილი

ს. დვალისშვილი
ხელმოწერა

29.05.2012 წ.
თარიღი

აუდიტორ ასისტენტი:

ვიქტორია ბუკია


ხელმოწერა

29.05.2012 წ.
თარიღი